№ 122 **სახალხო გაზეთი** № 122

კვირა, 3 ოქტომბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

**ანასტასია თადეოზის ასული, გიორგი, თადეოზი, ირაკლე პავლეს ძენი, მარიამ პავლეს ასული, ნინო პავლეს ასული აბესალაშვილისა მეულლით, ეკატერინე პავლეს ასული ქუთათელაძისა ქმრით და მარიამ თადეოზის ასული დათოშვილისა ქმრით დავით ივანეს ძე დათოშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფასი ქმრისას, მეორენი—საყვარელი მამისას და მესამენი—დაუვიწყარ სიძისას და ქვისლისას

## პავლე გიორგის ძის ბურჯანაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 1 ს. და საღამოს 7 ს. (კვირაცხოვლის ქუჩა, № 25), გამოსვენება კვირას 3 ოქტომბერს დილის 9 საათზე კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—105—2)

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და ქართველ მსახიობთა დასი** ამით აცნობებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დამსახურებულ მსახიობ ქალის

## ნატო მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 ს., ხოლო პანაშვიდი 11 ნახევ. საათზე. (2—უ—2)

ამა წლის 7 ოქტომბერს სოფელ ბულაჩაურში (დუშეთის მაზრა) გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## თ. ნიკოლოზ გიორგის ძის ხიმშიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ბარბარე რაფაელის ასული შვილებით.** (2—164—2)

**თამარა ალექსანდრეს ასული და კონსტანტინე მანუჩარის ძე წერაკიძენი, იოსებ მერაბის ძე გაბუნია ოჯახობით** ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## ნატო მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 11 საათზე, ხოლო პანაშვიდი 11 ნახევ. საათზე. (1—109—1)

**„სახალხო გაზეთი"-ს რედაქცია** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენის სახელოვანის მსახიობ ქალის

## ნატო მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი $11^1/_2$ ს.

ორშაბათს, 4 ოქტომბერს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) გარდახდილ იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი

## გიორგი პეტრეს ძე იმნაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა **ეფემია გიორგის ასული,** მეუღლე **ეფემია გაბრიელის ასული** და დები **ალექსანდრა და მარიამ პეტრეს ასულნი. ელენე პეტრეს ასული დათიაშვილი.** პანაშვიდი დაიწყება დილის $11^1/_2$ საათზე. (1—171—1)

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## ● დ ი დ ი მ ა ღ ა ზ ი ●

**ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,**

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გავების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—8)

---

**პოლტავის საადგილ-მამულო ბანკის**

## მთავარი აგენტი

(ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებისათვის

ამით პატივისცემით საყოველთაოდ იუწყება, რომ სხვა და სხვა პირობების შესატყობად (გრძელ-ვადიანისა, მოკლე-ვადიანისა თუ სხვა-გვარ სესხის ასაღებად) და განცხადებათა მისაღებად, პირდაპირ მიმართეთ ხელმე უმთავრესს აგენტს გელიამინოვის ქუჩა, სახლი N 9, ალექსანდრე სერგეის ძე ნოვიცკის. (2—113—1)

---

## ◄ მ უ ქ თ ა თ ►

**ორ სართულიანი სახლი**

ეძლევა იმას, ვინც ამ სახლის ქვეშ 200 კვად. საჟ. მიწას იყიდის, საჟენს 10 მან., სახლი კრამიტითაა დახურული, და აქვს ასი თუმანი ბანკის ვალი, მხოლოდ ასი თუმანი-ღა გადახდება. ზემო სართულში 9 და 8 არშ. ოთახებია, აგრეთვე ქვემოთ, 20 არშინიანი ბალკონით, ერთ-ოთახიანი ფლიგელით, მიწით და ფიცრით აგებული თავლებით და დიდი ეზოთი, მდებარეობს მტკვრის პირზედ, მშვენიერ გულ-ღია მისახედით, კახეთის ქუჩისა და ტრამვაის ახლოს, ბერეზოვსკის ქუჩაზედ. მოილაპარაკეთ პატრონთან მე-4 საპოლიციო ნაწილი, ბაგრატიონოვის ქუჩა N 10, იგი ხვთ ამ 10 ნომრის სახლის პატრონი, დილით 9—10 და საღამოთი 5—6 საათამდის.

იქვე ბაგრატიონოვის ქუჩაზე N 10 მიიცემა იაფად ქირით გუთნის საწვრიმალო მაღაზია ბადვლითა და წყლით. (1—107—1

## სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 3 ოქტომბერს, მეორე გიმნაზიის მასწავლებელი

## ა. მ. რ ო ზ ო ვ ი

წაიკითხავს ლექციას

## ● ლევ ტოლსტოი კავკასიაში ●

ლექციის შემდეგ გაიმართება უფასო **კ ო ნ ც ე რ ტ ი.** ფასი 5-დან 10 კ.-დე. დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება. (1—უ—1)

---

**ტელეფონი № 862.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 4.**

კვირას, 3 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა გ. ჰაუპტმანისა**

## „მზის ამოსვლამდის"

4 მოქმედებად, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლოლუა ა., პიერრეტა ა., ქილარჯიშვილი მ., შოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი. არადელი გ., გუნია ვ., გვარამძე ნ., ივანიძე ი., ქიქიძე ი., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მატარაძე ვ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადმინისტრაცია** ქართ. დრამ. საზოგადოებისა. **რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

**დამსწრეთა საყურადღებოდ:** თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სატანა", გორდინისა, „გამხმარი ფოთოლი", „ნიბონი ყოფა-ქცევისა", «ორი ცნება», ბატაილისა; „საბედისწერო დამბაჩა", „ქალის ჭკუა".

**ა ნ ო ნ ს ი:** სამშაბათს. 5 ოქტომბერს, გაიმართება **სალიტერატურო საღამო-მეჯლისი,** ოთხის განყოფილებით: 1. სალიტერატურო განყოფილება 2. ოთხი იმერელი; 3. სხვა და სხვა გვარი ცეკვა „თამაში" და 4. ცოცხალი სურათები".

---

**კვირას, 3 სექტემბერს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს**

**გაიმართება 9 საინტერესო კავკასიური**



## ჭიდაობა

**◄ წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ ►**

**კ უ ლ ა გ ლ დ ა ნ ე ლ ი ს**

თანადასწრებით.

იჭიდავებენ: 1. **გიორგი ჯიბგირი და მიხაკა ქურხული.** ეჭიდავება გიორგი ჯიბგირის გამოთხოვნით. იჭიდავებენ რუსულად: 2. სპორადის და მაკაროვისა (ძერძენთა მოჭიდავე ქალებია). 3. მედროვე არუთინ აზიზოვი, ძველი მოჭიდავე და მიხაკა ლამქაროვი. 4. მაშუა ვერელი და მიხაილ პოდუბინი. 5. თედო კაკაშვილი და სანდრო ტურაშვილი, დოლელი. 6. ირაკლი კაზელი და სერგო ჯაფარიძე. 7. მეხელი და ბერუა რცხილაშვილი. 8. გიორგი თელაველი და ვანო გარეჯელი. 9 ვახტანგა ცხინვალელი და არშაკა ხაჩატუროვი.

გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.

ანონსი: კვირას 10 ოქტომბერს, გაიმართება საინტერესო ჭიდაობა.

**ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი**

დასაწყისი საღამოს 4 საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.**

(2—39—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. წიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. შოშიტაძე**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ი. გ. ფლოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—452

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

**ხარაბ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ხუთშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონსე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ნოვიცკი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

**ბატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

**ი. მ. ახპასოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვას. ნ.რის ზრატით. (100—6.—1)

---

## ექიმი **რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—108—1)

**გამოვიდა მე-39 ნომერი**



თითო ნომერი 10 კაპ.

**მოიკითხეთ ყველგან.**

წლიური ფასი 5 მან, ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. რედაქტ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი**

## 3 ღვინოსმცოდნეთა

დილით 12 საათზე დანიშნულია, სამეურნეო ბანკის ბინაზე „ახალ კლუბის" წევრთა საზოგადოების კრება.

**განსახილველი საგნები:**

1) ახალი წევრთა მიღება.
2) მამასახლისთა არჩევნები.

(3—81—3)

## ექიმი **კბილისა ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

---

## ექიმი **ვ. ნ. ბაბაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 383. (100—ზალ.—42)

---

კლასები

## ფორტეპიანოსი

**იოსებ გიორგის ძე**

## ტერ-დავიდოვისა

ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40. (20—6.—15)

---

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რული

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქში.

**განყოფილება ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (7—82—3)

## ტფილისი, 3 ოქტომბერი

**დიდი ხნის მომწიფებული საკითხი.**

კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი სამის წლის წინ თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში სწერდა: „გვავკადნიერდები და მოგახსენებთ, ხელმწიფეო, რომ ის დამოკიდებულება კავკასიის მცხოვრებლებისადმი მიწის საქმეთა შესახებ, რომელიც შემოღებული იყო აქამომდე, დღეის იქით შეუძლებელია ატანილ იქმნას, სხვას ყველას რომ თავი დავანებოთ, მარტო იმიტომაც რომ იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს სოფლის ხალხის რევოლიუციონურ განწყობილებაში. მართლაც, ჩვენ საკმაოდ ვიმუყაითეთ საქართველოს პროვინციების საკოლონიზაციოდ გერმანიის კოლონისტებით, ანატოლიის ბერძნებით, ოსმალეთის სომხებით და უკანასკნელ დროს ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან ცოტა ათვალწუნებულ რუს სექტანტებით, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთათვის კი მიწის საქმეში არა თუ არაფერი არ მოგვიგვარებია, ისე დავაშინეთ იგი იმის უფლობაში მყოფ მიწების ჩამოჭრით, რომ ზოგიერთი სოფლები პირველად უნდოდ დაუხვდნენ საადგილ-მამულო მომწყობ კომისიებს და ურჩად უქცევდნენ მათ გვერდს, ვაი თუ კიდევ მიწები ჩამოგვაჭრანო". (მოხსენება 1907 წლის 10 თებერვლისა, გვ. 60). მას შემდეგ, რაც კავკასიის გამგემ ეს სამართლიანი აზრები გამოსთქვა, სამ წელიწად ნახევარი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ამიერ-კავკასია ისე, როგორც შიდა რუსეთი, დაწყნარებული და დამშვიდებულია; მთავრობა, რომელიც საკუთარის გამოცდილებით დარწმუნდა 1905 და 1906 წლებში, რომ უკიდურესი აუტანელი გაჭირვება და საადგილ-მამულო საქმეების მოუწყობლობა სოფლად ხალხს სარევოლიუციო გზისკენ ერეკება, ეს მთავრობა აქამომდე ენერგიულად უნდა შესდგომოდა ცხოვრებაში დიდის ხნის მომწიფებულს რეფორმათა გატარებას; ამ მთავრობას ქვეყნად დამყარებულ მშვიდობიანობით აქამომდე უნდა ესარგებლა საჭირო რეფორმების მოსახდენად; ამას მოითხოვდა არა საგანგებო რომ რეფორმატორული მიმართულება, არამედ სწორედ ის, რასაც სახელმწიფოებრივ სიბრძნეს უძახიან პოლიტიკური მოღვაწეები, თითქოს ყველა ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ აბა მივიხედოთ უკან, თუ ადგილობრივ მკვიდრთა საადგილ-მამულო გაჭირვებას და არევ-დარეულობას რაიმე წამალი მოჰხვედროდეს.

უკანასკნელ სამნახევარ წელიწადში ამიერ-კავკასიაში ფართოდ გაშალა მოქმედების ფრთა ერთის მხრით გადმოსახლების სამმართველომ, მეორეს მხრით საგლეხო ბანკმა. გადმოსახლების სამმართველოს რომ ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესები არ ამოძრავებს და პირიქით სწორედ ამ ინტერესების საწინააღმდეგო სავალი გზა უძევს წინ, ეს ყოვლისავე ეჭვს გარეშეა. გადმოსახლების სამმართველო მხოლოდ კავკასიის სარუსიფიკაციოდ ისჯება და ამ მიზნის მისაღწევად იგი თავისუფალ ადგილებს დაეძებს შიდა რუსეთიდან გლეხების ჩამოსასახლებლად. რუსეთის სახელმწიფოებრივ იდეის თვალსაზრისით ეს იქნება მეტად ძვირფასი საქმე იყოს, მაგრამ ამიერ-კავკასიის მკვიდრთა ეკონომიურ ინტერესების თვალსაზრისით კი ამ სამმართველოს მოქმედებას მხოლოდ უარყოფითი ღირებულება აქვს. საგლეხო ბანკი ფორმალურად ნეიტრალური დაწესებულებაა, ნამდვილად კი ისიც იმავ პოლიტიკას აწარმოებს, რასაც გადმოსახლების სამმართველო. წლევანდლამდე საგლეხო ბანკის შუამავლობით გაყიდულ მიწების (52,270 დესეტინა) ერთი მესამედი რუსის გლეხობასა აქვს შეძენილი, ერთი მესამედი ქართველ გლეხებს და ერთი მესამედიც სხვა ხალხს, ოსებს, სომხებს ბერძნებს და გერმანელებს. თავის თავად ცხადია, რომ თუ არ განსაზღვრულ ტენდენციის წყალობით, სხვაფრივ არ შეიძლება აიხსნას, რომ შორეულ ადგილებიდან გადმოსულნი კავკასიაში ბანკის შემწეობით იმდენსავე ადგილს ყიდულობენ, რამდენსაც ადგილობრივი მკვიდრნი. ესეც რო არ იყოს, საგლეხო ბანკმა უფრო არივ-დარივა საადგილ-მამულო საკითხები, ვიდრე მოაწესრიგა. ერთის მხრით ბანკის გავლენით მიწების ფასმა არა ჩვეულებრივ იმატა მემამულეთა საბედნიეროდ, მეორეს მხრით კი საგლეხო ბანკმა წინანდელზე უფრო დაავალიანა უიმისოდაც ყელამდე ვალებში ჩაფლული გლეხი. საგლეხო ბანკისგან გამოწვეული და გაძლიერებული მიწის აჟიოტაჟი აიძულებს ადგილობრივ გლეხკაცობას იმ შიშით, რომ მიწა, რომელიც აქამდის იჯარით თუ სხვა რამ წესით, იმის სარგებლობაში იყო, შესაძლოა ვინმე გარეშემ შეიძინოს, აიძულებს გლეხს ზოგჯერ მთელი თავისი სამეურნეო ინვენტარი კიტრის ფასად გაჰყიდოს და გარდა ამისა კერძო ვალები აიღოს, ოღონდ კი მამული ხელიდან არ გაუშვას და სამუდამოდ უმიწაწყლოდ არ დარჩეს. ვის შეუძლიან გვითავდებოს, რომ მიწის შერჩენისთვის ნატვირთ ვალებს გაუძლებს გლეხი და მათი სიმძიმის ქვეშ არ დაჰლევს იგი ცოდვილ სულს რამდენისამე წლის შემდეგ?

საგლეხო ბანკს და გადმოსახლების სამმართველოს ბევრი მოსარჩლე ჰყავს, მაგრამ ისინიც კი არ ამბობენ, რომ ამ დაწესებულებათა მოღვაწეობას ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო საქმეები მოაწესრიგებინოს. მას შემდეგ, რაც აგრარული მოძრაობა მიყუჩდა, თითქოს თავისი სიმახვილე დაჰკარგა იმ შეგნებამაც, რომ სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობა მიწის საკითხების მხრივ პირდაპირ აუტანელია. ზემოდ ჩვენ ვნახეთ, რა კატეგორიულად მოახსენებდა ხელმწიფეს კავკასიის გამგე მიწის საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას; ჩვენ ვაცით, რომ სამ წელიწად ნახევარში ამ მხრივ ჯერ სრულიად არაფერი არ გაკეთებულა და ეხლა, 1910 წლის იმავ ნამესტნიკის უქვეშევრდომილეს მოხსენებიდან, როგორც გაზეთი „როსსია" გადმოგვცემს, შევიტყობთ, რომ ახლო მომავალში არც მოსალოდნელია გაკეთდეს რამე.

წლევანდელი უქვეშევრდომილესი მოხსენება წინანდელზე გაცილებით ნაკლების ენერგიით აღნიშნავს, რომ კავკასიაში ყოვლის უწინარეს მიწის კერძო საკუთრების გამორკვევა და გამტკიცებაა საჭირო, მაგრამ ეს აზრი ეხლაც ისევ ზოგად სახელმძღვანელო პრინციპად რჩება და არა სჩანს, რომ პრაქტიკულ საქმიანობის საფუძვლად გამხდარიყოს.

მიწის სიმცირის გარდა საქართველოს მკვიდრთა საადგილ-მამულო გასაჭირს წარმოადგენს ბატონ-ყმური ურთიერთობა დროებით ვალდებულ გლეხებისა და ყოფილ ბატონების შუა და გამოურკვევლობა ხიზანთა მფლობელობისა. მიწის სიმცირეს ეხლა მაგრე რიგად ყურს არავინ უგდებს არც საკვირველია: თუ სადმე თავისუფალი მიწა აღმოჩნდეს, იგი წინასწარ საკოლონიზაციოდ არის გადადებული და ასეთ პირობებში კი

რომელ მოხელეს მოუვა აზრად, იზრუნოს ქართველ გლეხთა მიწადმფლობელობის გაფართოვებაზე. ხიზნობა შესაწყნარებელი ინსტიტუტი იყო იმ დროს, როცა მიწა ბლომად მოიპოვებოდა, მიწის მუშა კი ცოტა. ხიზნობა პირველყოფილ ექსტენსიურ მეურნეობის ნიადაგზე აღმოცენდა და ეხლანდელ პირობებს სრულიად არ შეეგუება. იგი ეხლა მავნებელია როგორც მამულის პატრონისთვის, აგრეთვე მამულის დამმუშავებელისთვის. სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსავითარებლად ხიზნობა აუცილებლივ უნდა მოისპოს. თეორიულად ამ აზრის წინაამდეგ არც კავკასიის მთავრობაა, მაგრამ საქმით კი შესაფერი მზრუნველობა არა სჩანს. წლევანდელი უქვეშევრდომილესი მოხსენება კავკასიის ნამესტნიკისა ამ საგანზედაც სდუმს.

ერთად ერთი საგანი, რომელსაც უკანასკნელ სამ წელიწად ნახევარში ოდნავ წინ წაუწევია, არის დროებითის ვალდებულების ლიკვიდაცია. ამ საგნის შესახებ ნამესტნიკის კანცელარიაში უკვე შეუმუშავებიათ და საბოლოოდ დაუმზადებიათ კანონ-პროექტი, რომელიც განზრახულია ახლო მომავალში მინისტრთა საბჭოში შეიტანონ განსახილველად და შემდეგ საკანონმდებლო დაწესებულებებში გადასაცემად. ამ პროექტით დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულება უნდა მოისპოს; გლეხებმა სანადელო მიწები თითონ უნდა გამოისყიდონ მემამულეებისაგან; ხაზინამ ცოტა რამ დახმარება უნდა მისცეს გლეხებს გამოსასყიდი ფული, რომელსაც შემდეგ რამდენისამე წლის განმავლობაში გლეხები გვიხდიან. ეს ერთად ერთი კანონ-პროექტი, რომელიც შეუმუშავებია კავკასიის ადმინისტრაციას, დღევანდლამდე საიდუმლოებას შეადგენს. რა პრინციპებზეა იგი აგებული და როგორ სწყვეტს მემამულეები და გლეხების ინტერესებს, ამაზე ჩვენ მხოლოდ ცოტაოდენი ცნობები გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ ნამესტნიკის კანცელარიისგან შემუშავებული კანონ-პროექტი განხილულ იქმნა კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენლებისაგან ტფილისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა თანადასწრებით. ვიცით აგრეთვე, რომ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი არ იყვნენ პროექტის თანახმანი, რადგან მათის აზრით მემამულეების ინტერესები ილახებოდნენ, და ამიტომ საკუთარი პარალელური პროექტი წარადგინეს. როგორც ყოველთვის, ეხლაც პროექტის განხილვა გლეხთა წარმომადგენლების დაუსწრებლივ მოხდა. როგორც ამბობენ, კავკასიის ადმინისტრაციას თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა შენიშვნების მიხედვით პროექტის ზოგიერთი მუხლი შეუცვლია და ამ ცვლილებით გადუწყვეტიათ წარადგინონ იგი მინისტრთა საბჭოში. რადგან მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ იცავდნენ თავის ინტერესებს თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, ამიტომ შემდეგ წერილში აღვნიშნავთ ზოგიერთ საკითხებს, რომელთა შესახებაც თავად-აზნაურობა კავკასიის არ დაეთანხმა.

როგორც ვიცით, ჩვენი თავად-აზნაურული მოღვაწეები მუდამ ხაზგასმით ბრძანებენ, ჩვენ წოდებრივ ინტერესებს არ ვიცავთ, უწოდებრივო ხალხის საერთო ინტერესებს ვემსახურებითო. ვნახოთ, როგორ ემსახურებოდნენ ხალხის ინტერესებს დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულების ლიკვიდაციის კანონ-პროექტის განხილვის დროს.

**მდგომარეობის ბატონები.** იყო დრო რუსეთის ცხოვრებაში, სულ 3—4 წლის წინად, როცა გუჩკოვსა და პურიშკევიჩს პირზე მდუმარების კლიტე ედოთ. მაშინ ეს ვაჟბატონები არაფერს ამბობდნენ, ან მათ არავინ ყურს არ უგდებდა; ეხლა კი ისინი მდგომარეობის ბატონებად შეიქნენ; ეხლა, როცა მურომცევი, დოლგორუკი, ნაბოკოვი, პეტრუნკევიჩი და სხვანი იძულებულ ჰყვის გაჩუმებულიყვნენ, გუჩკოვები და პურიშკევიჩები ხმამაღლა ჰღაღადებენ, ხმამაღლა შეექცევიან გამარჯვების სიმღერით! საწუხაროდ, ეს არც მოულოდნელი ამბავია, არც შემთხვევითი, პირიქით იგი ბუნებრივია და კანონიერი: აღორძინების და შემოქმედების ხანას თავისი მოღვაწეები ჰყავს, რეაქციისას— თავისი.

ბუნებრივი და კანონიერია ისიც, რომ მსგავსი რამ ამბავი ჰხდება ეხლა ჩვენს ცხოვრებაში. ერთი თვის წინად, როცა თავად-აზნაურთა ერთმა ჯგუფმა შეიძინა რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე", ბევრს გაზეთის მიმართულება ეინტერესებოდა. და მაშინ სარედაქციო კოლლეგიამ მიმართულების წინასწარ განსაზღვრას გვერდი აუქცია და თავის მომავალზე მიუთითა. ამ მომავალმა კი გაზეთის ზომიერი დემოკრატიული პროგრესიული კილო გვაჩვენა, მაგრამ გამომცემლები ვერ შეეგუვნენ სარედაქციო კოლლეგიას, ცლბად მიმართულებისა გამო, და აი-ეხლა, როცა გამომცემლებმა თითონ იტვირთეს გაზეთის სარედაქციო ნაწილის ხელმძღვანელობა, წინანდელზე უფრო საინტერესოა შევიტყოთ, რა მიმართულება აქვთ თვით გამომცემლებს, როგორ გაიმიჯნებიან გაზეთის წინანდელ ზომიერ ლიბერალისმისაგან, რა პოზიციაზე ეცდებიან ფეხის გამაგრებას, როგორ ესმით ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებანი და რა საშუალება ეგულებათ ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. სახელმძღვანელო აზრები გაზეთს არც ეხლა წამოუყენებია, მაგრამ იქ ჩვენ ცოტა რამ უფრო მეტი, ახალ რედაქციის უკეთ დამახასიათებელი ვნახეთ; ვნახეთ ის, რაც იქ ნამდვილად მოიპოვება, სახელდობრ პირდაპირი დაბეზღება ქართულ პრესსის და ინტელიგენციისა, დაბეზღება, რომელსაც რუსეთის ეხლანდელ ბირჟაზე დიდი ფასი და გასავალი აქვს. „ქართული ინტელიგენციაო, ვკითხულობთ ამ გაზეთის 22-ე ნომერში, ქართული პრესსაო დღევანდლამდე საქმის მაგიერ იმაშია გართული, რომ ბრალი დასდოს ბიუროკრატიას, თავად-აზნაურობას, პლუტოკრატიას, ერთის სიტყვით, ყველას და ყველაფერს, თავის თავის თავზე კი არავითარ ბრალს არ იღებს და არც მოვალეობას კისრულობს, მოიმოქმედოს შექმნას რამე. იგი აქამომდე არ ანებებს თავს უნაყოფო და ფუჭ ოცნებებს და დროს მხოლოდ სიტყვათა როშვას და წუწუნს ანდომებს, არა ჰსურს, არ თანაუგრძნობს ჩვენი ინტელიგენცია სასარგებლო, რეალურ, შემოქმედებითს შრომას!...

რა საჭირო იყო ამისთვის საკუთარი გაზეთი. განა საკმაო არ იქნებოდა „გოლოს კავკაზა"-სთვის მიგემართათ, სადაც ყოველთვის სიამოვნებით ჰბეჭდავენ ასეთ მარგალიტებს?! ჩვენ პირდაპირ შეუძლებლად მოგვაჩნია, რომ გაზეთის ამ აზრებს თანაუგრძნობდეს ვინმე, გარდა გამომცემელთა კოლლეგიის ვიწრო წრისა, შეუძლებლად მიგვაჩნია რადგან ეს დაბეზღება შინაარსით სრული სიყალბეა. ტყუილია, ვითომ ქართველ ინტელიგენციას არა ჰსურდეს, არ თანაუგრძნობდეს სასარგებლო, რეალურ, შემოქმედებით შრომას. ოცდაათი, ორმოც წელიწადია, რაც ქართველი ინტელიგენცია განუწყვეტლივ ჰღაღადებს საერობო დაწესებულებათა შემოღების აუცილებლობაზე, რადგან სრულიად სამართლიანად ჰფიქრობს, რომ ერობა წარმოადგენს იმ რეალურ და ნაყოფიერ ნიადაგს, რომელზედაც ინტელიგენციას მართლა სასარგებლო მოღვაწეობა შეეძლება განავითაროს ფართოდ. ინტელიგენცია ჰღაღადებს ერობაზე, როცა კი შეუძლიან, მაგრამ როცა იგი იძულებულია ჩუმად იყოს, სდუმან ისინიც, ვისაც ხმის ამოღება შეუძლიან და ვინც, ნაცვლად სისტემატიურ და მუყაითის მეცადინეობისა ერობის შემოღებად, ერთობა კომისიებსა და სუბკომისიებში მუშაობით და გულუბრყვილოდ ჰფიქრობს, ვითომ ერობის საქმეს აკეთებდნენ.

დასაფარი არ არის, რომ ჩვენი ცხოვრება და იმისი რეალური საჭიროებანი მეცნიერულად ცნობაში მოყვანილი და შესწავლილი არ არიან; მართალია ისიც, რომ ქართული თავად-აზნაურული ინტელიგენცია არასოდეს ხალხთან დაახლოვებული არა ყოფილა. მაგრამ ვისი ბრალია ეს, თუ არ იმათი, ვინც ბანკში მრავალ წლებს ეწეოდა უნაყოფო და უპრინციპო ბრძოლას? ვისი ბრალია, რომ, შემოფარგლეს რა თავად-აზნაურულ ინტელიგენციის გულისყური მარტო ოდენ ბანკის საქმეებით, დაივიწყეს სოფელი და იმისი ჭირვარამი, შრომის შვილები და იმათი ცრემლი? არა ბატონებო, მოიგონეთ მახლობელი წარსული და შეიგნეთ, რომ სხვათა მხილება, ცილის წამება და თავდასხმა კი არა, ცოდვათა, თქვენ საკუთარ მწარე ცოდვათა მონანიება გმართებთ!... მაგრამ ნუ ჰთრთით, იარეთ თქვენის გზით და ილაპარაკეთ, მოუხშირეთ ცილისწამებას და დაბეზღებას! ეხლა რეაქციის შავბნელი ხანაა, ეს თქვენი დროა, ეხლა თქვენა ხართ მდგომარეობის ბატონები და პატრონები

Jounesco.

# რევოლუცია პორტუგალიაში

## პორტუგალიის რესპუბლიკა.

ევროპას კიდევ ერთი რესპუბლიკა მოემატა. მეოცე საუკუნე ხალხურ მოძრაობათა საუკუნედ გადაიქცა. დაემხო ოსმალეთის დესპოტიზმი, განიდევნა სპარსეთის საზღვრებიდან შაჰი, დღეს კი პორტუგალიამ გაისტუმრა თავისი გვირგვინოსანი საზღვარ-გარედ, მაგრამ მოძრაობა ამაზე არ შეჩერდა. უკანასკნელ ცნობებიდან ნათლადა სჩანს, რომ პორტუგალიის რევოლუციონერებს ძველი წეს-წყობილების ძირიანფესვიანად ამოკვეთა გადაუწყვეტიათ. მხოლოდ ამითი უნდა აიხსნას ის იერიშები, რომლებიც იეზუიტებზე მიიტანეს. კათოლიციზმისა და ეკლესიის განსაზღვრულ პრივილეგიების გასაოცარი დამცველები—იეზუიტები—სამეფო ტახტის ერთგულ დამცველებად ითვლებოდნენ ყოველთვის და დღესაც ითვლებიან. წლობითა და საუკუნოებით ამუშავებდნენ იეზუიტები საზოგადოების ფსიხიკიდან, მონარქისტულ აზროვნებას უნერგავდნენ ხალხს. ყოველთვის, როდესაც კი მოძრაობა ცოტად თუ ბევრად საშიშ სახეს იღებდა, იეზუიტები ამოძრავდებოდნენ ხოლმე და მთელ თავის ძალღონესა ხმარობდნენ კონტრ-რევოლუციისა და რეაქციონურ მოძრაობის შესაქმნელად. მეფე, თქმა არ უნდა, იეზუიტების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ დრომ მაინც თავისი გაიტანა: მეფის მთავრობა დაემხო და რევოლუციონერებმა პორტუგალიაში დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადეს.

განდევნილი მეფე თავის თავს ისევ პორტუგალიის მეფეთა სთვლის და დროებით მთავრობას უთვლის, მე ჭეშმარიტი პორტუგალელი ვარო. ეს განცხადება მეფისა მხოლოდ იმისი მომასწავებელია, რომ მას იმედი აქვს პორტუგალიაში დაბრუნებისა ტახტის დაბრუნებისა. მაგრამ ვეჭვობთ, რომ იმედები გაუმართლდეს. იეზუიტების კონტრ-რევოლუციის იმედი მას აღარ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მათ სრულიად დაჰკარგეს ნდობა ხალხში. ამ ნდობის დაკარგვს თვით იეზუიტებიც უწყობდნენ ხელს. თვით იეზუიტებსაც ამ მოძრაობაში საშინელი დეზორგანიზაცია ემჩნევათ. როგორც დეპეშებიდანა სჩანს, ლისაბონში ნუნციის ავსტრიის ბაირაღი აუფრიალებია. ეს ნამდვილი ღალატია სამშობლოსი და ამიტომ პორტუგალელი მამულიშვილები, თქმა არ უნდა, ღირსეულად დააფასებენ ამ საქციელს. ამას გარდა პორტუგალიის მეფეს შესაძლებელია ევროპის სახელმწიფოთა იმედი ჰქონდეს. მაგრამ ეს იმედებიც უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. ევროპის სახელმწიფონი პორტუგალიის შინაურ საქმეებში ჩარევას ვერ გაბედავენ, რადგანაც ეს ჩარევა მათ შორის არსებულ ურთიერთობას გაამწვავებს. ამიტომ მეფე მანუელი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდება ბედს დამორჩილდეს და იურიდიულადაც დაადასტუროს ფაქტიური ჩამოართმევა ტახტისა.

პორტუგალელი რევოლიუციონერები ძალიან მოხერხებულად და ენერგიულად იქცევიან; დროებითი მთავრობის წევრებს, როგორც ეტყობა, საკმაოდ კარგად გაუვლიათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სკოლა. დროებითი მთავრობის თვითეული ნაბიჯი ნათლად ამტკიცებს ამ გამოცდილებას. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკანური წეს-წყობილება მაგრად მოიკიდებს ფეხს პორტუგალიაში და ისიც, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, მშვიდობიან განვითარების გზას დაადგება.

პორტუგალიაში მომხდარი ამბები სხვაფრივაც არის საინტერესო. ამ მოძრაობით გაიმარჯვა საზოგადოდ რესპუბლიკანურმა იდეამ. ბოლო ხანებში ბევრს ჭეშმარიტ დემოკრატსაც კი ეჭვები ებადებოდა და რესპუბლიკანელთა მისწრაფებანი სასარგებლოდ მიაჩნდა. ზომიერი ელემენტარი კონსტიტუციონურ მონარქიაში ეძებდნენ ნავთ-საყუდელს; პორტუგალიის რესპუბლიკანელთა გამარჯვება ამასთანავე ერთად მთელი ქვეყნის რესპუბლიკანელთა ზნეობრივი გამარჯვებაცაა. ამიტომაა, პროგრესიული ნაწილი აღტაცებით რომ ეგებება პორტუგალიის მოძრაობას, რეაქციონერები და კონსერვატორები კი—გრაზითა და ბოღმით იხრჩობიან. კონსერვატორები ჯავრობენ, მაგრამ ულმობელი ლოღიკა სინამდვილისა მაინც თავისას არ იშლის...

—

გაზეთების სიტყვით ახალ პორტუგალიის მიერ გამოქვეყნებული პროგრამა შეიცავს შემდეგ მუხლებს: ეკკლესიის განშორება სახელმწიფოსაგან, კონგრეგაციათა (სასულიერო ორგანიზაციების) განდევნა, სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლა, ჯარისა და ფლოტის გარდაქმნა, საახალშენო გამგეობის დეცენტრალიზაცია, სასამართლოს ძალთა დამოუკიდებლობა.

დროებითი მთავრობის პრეზიდენტმა თეოფილ ბრაგამ განაცხადა, რევოლუცია ოგიუსტ კონტის პოზიტიურ ფილოსოფიის მიმდევრებმა გამოიწვიეს.

გაქცეულ სამეფო სახლეულებისადმი მძულვარებას არა გრძნობენ, მაგრამ დიდის უპატივცემულობით კი იხსენიებენ. გაზეთები მეფეს უწოდებენ ბატონ მანუელ ბრაგანცას და დედოფალს — ქალბატონ ამალია ორლეანელს.

ერთს დროს ვიქტორ ჰიუგო ოცნებობდა „ევროპის შეერთებულ შტატების" დაარსებასა და „მსოფლიო რესპუბლიკის" დამყარებაზე. ხოლო ცნობილი პორტუგალელი რევოლუციონერი მაგელას ლიმა პარიზში აღტაცებით ოცნებობს „სრულიად ლათინთა რესპუბლიკის" დაარსებაზე და თავის აზრის დასამტკიცებლად იმოწმებს ვიქტორ ჰიუგოს: „თქვენ თვითონ წარმოიდგინეთო, ეუბნება იგი ჟურნალისტებს, პორტუგალიაში რესპუბლიკის გამოცხადება შეიძლება ნიშანი იქმნეს დანარჩენ ევროპისათვის. პორტუგალია გვერდით ამოუდგება თავის უფროსს დიდებულს დას, საფრანგეთს, სხვა დემოკრატიულ ერთა შორის და მაშინ ესპანიაც უკან ჩამორჩენას არ ისურვებს.

ესპანიის მეფე ალფონს XIII, რომლის ბრძანებითაც თავისუფალი მოაზრე ფერერი სიკვდილით დასაჯეს, გაიფიქრა თავისი დანაშაული გამოესყიდნა და ამიტომ კლერიკალიზმის წინაამდეგ ამხედრდა, მაგრამ ეს ბურბონთა გვარეულობას ვერ იხსნის. ესპანიაც მალე რესპუბლიკას დაამყარებს. ორს რესპუბლიკას შორის მონარქია ვერ იჰეირებს, ვინაიდან მაგალითი მეტად გადამდებია. შემდეგ ესევე დაემართება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც პორტუგალიაზე ნაკლებ არ არიან დემოკრატიულად მომწიფებულნი. გაერთიანებულს იტალიაში, სადაც სავოის გვარეულობას ზურგს უმაგრებს მხოლოდ ლომბარდია, შეიძლება რესპუბლიკა ერთბაშად დამყარდეს. ძლიერ ეროვნულ მოძრა-

# აგარაკ ქიაურის ვითარება

(წერილი პროვინციიდან)

ქართველ საზოგადოებას ჯერაც არ დავიწყებია შავიზღვის სანაპიროდან 40 კომლი ქართველი გლეხების ზამთრის პირად, თავიანთ ნაწვავ-ნადაგ სახლებიდან აყრის ამბავი, რომ კვლავ მოწმე ვხდებით ასეთი სამწუხარო მოვლენისა. გადაწყვეტილია აჰყარონ 60 კომლი ქიაურის აგარაკიდან ს. ცოდნის მცხოვრებნი, ააწიოკონ ამ ზამთრის პირად, დაატოვებინონ თავისი ნაჭირნახულევი, მძიმე შრომით შეძენილი ქოხ-მახი და ზურგზე ბარგ-აკიდებული ციგნებსავით გაუშვან ღვთის ამარად ახალის ბინის საძიებლად. ამათ ნაშრომზე კი, გადაწყვეტილია დაასახლონ 5 კომლი სასახლეში მეეტლეთ ნამსახური რუსი მათის ნათესავებით, რომელნიც, თურმე, ამ ჟამად გაფანტულნი არიან რუსეთის შიდა გუბერნიებში. (ასეა ნათქვამი იმ ბრძანებაში, რომელიც დაუგზავნეს ადგილობრივ მოხელეებს).

ქიაურის აგარაკი, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს ს. ცოდნის გლეხობა, მდებარეობს მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროს ქ. სიღნაღის გასწვრივ, აგარაკი იწყება ხსენებულ მდინარის ნაპირიდან და მთავრდება კავკასიონის მთების ფერდობებთან; სივრცით მთელი აგარაკი ასე 75000—80000 დესეტინაა; აქედან მხოლოდ 34000 დესეტინაა სახაზინო. იგი ამ ჟამად წარმოადგენს მთლად დაბურულ, თითქმის, გაუვალ ტყეს, მხოლოდ ალაგ-ალაგ გამოსჩანს გაჩეხილი-გაკაფული ალაგები, საცა მოსახლეობენ ახალშენები და აგრეთვე პატარ-პატარა მინდვრები თამბაქოს მოსაყვანი, უძველესი ეკლესიები და ძველი ნასახლარები მოწმობენ რომ აქ ოდესღაც ძველად სიცოცხლე სდუღდა; მაგრამ ჩვენთვის კარგად ცნობილი გარემოება: მაგალ. მთელი კახეთის ხშირი აკლება და აწიოკება როგორც სხვა-და-სხვა მტრებისაგან, ისე კავკასიონის მთიულებთაგან და განსაკუთრებით კი იმ ალაგებისა, რომელიც ამ კავკასიონ მთასთან ახლო მდებარებს, უნდა ჩაითვალოს მიზეზათ ამ ადგილების დაცალიერებისა და შემდეგ მისი დაბურულ ტყედ გადაქცევისა. ამასვე მოწმობს ჩვენი ისტორიაც—(გაიხსენეთ თუნდ შაჰ-აბაზის შემოსევა, მის მიერ კახეთის განადგურება და აუარებელ ხალხის ტყვედ წაყვანა). საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან კიდევ კარგა ხანმა განვლო, ვიდრე ქიაურის აგარაკში ცხოვრება განახლდებოდა. მხოლოდ ამ აგარაკით თუ სარგებლობლობდა მასში უფლებებით *) ალჭურვილი ქიზიყელი გლეხობა, რომელიც მთლად სცხოვრობს სახელმწიფო ალაგებზედ. მაგრამ მალე იწყება ამიერ კავკასიის კოლონიზაცია. რომელსაც მთავრობა აწარმოებდა და დღესაც აწარმოებს განსაზღვრულის და ჩვენთვის კარგად ცნობილ მიზნით. ოფიციალურის ცნობებით*) 1885 წლამდის ტფილისის გუბერნიაში სახელმწიფო მამულებიდან უკვე 200000 დესეტინაზე მეტი იყო [illegible] კოლონისტებისთვის, როგორც ვითომდა, თავისუფალი ადგილები. აქედან 556 კომლს გერმანელს მიეცა—14.889 დეს.; ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებს—123.017 დ.; შიდა რუსეთიდან — რუსის სექტანტებს— 65.763 დ. სიღნაღის მაზრაში ხომ კიდევ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დროსვე დაასახლეს 52 წლის სამსახურის შემდგომ სალდათები, რომლებიც უნდა ჩაითვალონ ს. ლაგოდეხის დამაარსებლად. რამდენიმე წლის შემდეგ, ე. ი. 1866 წელს, ამავე ქიაურის აგარაკში საცა იმყოფება ლაგოდეხი, გაშენდა მეორე სოფელი—ნოვაია მიხაილოვკა, რომელიც შესდგება იმავე სალდათებისაგან და მათი შვილებიც. სიღნაღის მაზრაშივე დამკვიდრდნენ. რუსებმა და გააშენეს სოფლები: ცარსკიე კოლოდცი, სვეჩინო და სხვ. ყველა ამ ახალშენებს, რასაკვირველია, უხვად მიეცათ მიწები და ის ადგილობრივი მცხოვრებნი კი, სახელდობრ ქიზიყელები, რომლებიც დღემდის თავისუფლად სარგებლობდნენ ამ აქამდის თავისუფალ, მაგრამ დღეს კი შემოძარცულ ალაგებით, მეტად შევიწროვდნენ. ეს შევიწროება უფრო საგრძნობელი შეიქნება, თუ მხედველობაში მივიღეთ რომ ამ დროსთვის მცხოვრებთა რიცხვმაც შესამჩნევად იმატა, ასე, მაგ. 1873 წ. კამერალურის აღწერით**) ქიზიყში სულ 37,262 სული იყო ორივე სქესისა დღეს კი მცხოვრებთა რიცხვი უდრის 48,154 სულს. ეს გაჭირვება მიწის შევიწროების მხრივ იმდენად აუტანელი შეიქმნა ქიზიყელისათვის, რომ, მიუხედავად იმ აუტანელ სიძნელისა, რომელსაც ჩვენი გლეხი ჩვეულებრივ განიცდის ხოლმე თავისი სამშობლო სოფლის დატოვების დროს, მან გადასწყვიტა დაეტოვებინა სამშობლო სოფელი და გადასახლებულიყო იქ, საცა თავისუფლად შეეძლო ამოსუნთქვა. ამ აზრით ქიზიყელებმა მიმართეს მთავრობას, რათა მათთვის დაეთმოთ საცხოვრებლად სამყოფი სახელმწიფო ალაგი ქიაურის აგარაკში, ისე როგორც ამას უთმობდნენ არა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან შემდგარ ახალშენებს. იმ ქიზიყელთა შორის, რომელთაც მიმართეს ამგვარის თხოვნით ეყვნენ აგრეთვე ჯუგაანელებიც, რომლებთაგანაც შესდგა შემდეგში ს. ცოდნა და რომელსაც დღეს აყრას უპირებენ. ჯუგაანში ამ ჟამად 2911 სულია; ამ ორი წლის განმავლობაში მათ შეიძინეს საგლეხო ბანკის საშუალებით თავ. დ. ჩოლოყაშვილის ყოფილი მამული. ზომით $1183^1/_2$ დეს. თუ ამას მიუმატეთ ის სახელმწიფო მიწაც, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, მაშინ სულზედ მამაკაცს მოსდის 1,07 დეს. ასეთი მიწის სიცოტავე, რომელიც პატარა ხანს უკან გლეხს, ქიზიყელს, რასაკვირველია, თუ არსაიდან ეშველა, სიმშილით სიკვდილს უქადის, ისტორიული უფლებაა ის ფაქტი, რომ ქიზიყელებს ქიაურის სახელმწიფო ტყეში სერვიტუტის *) უფლებები აქვს (გლეხთა კანონმდებლობა (I Примѣчаніе къ 336 ст.; IV кн., особ. прилож. къ IX ст. свод. зак., изд. 1902 г.), რომელშიაც გათვალისწინებულია უმიწაწყლო გლეხის სახელმწიფო ალაგზე დასახლება, და აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ ბოლო წლებში ოფიციალურად აღკრძალული იქმნა ამიერ კავკასიაში ვისმეს გადმოსახლება; [illegible] ეს ქიზიყელის სასარგებლოდ ლაპარაკობდა და თუ სადმე სამართალი იყო, ყველაზე უპირველესად უნდა მას მიეღო სახელმწიფო მიწა. მაგრამ მიუხედავად ამისა, დრო გადიოდა, რუსეთიდან გადმოსახლებულებით ქიაურის აგარაკი ივსებოდა (ალექსეევკა, ვარანცოვკა, ილარიონოვკა, დაშკოვკა—ყველა ეს სოფლები ამ 3—5 წლის განმავლობაში გაშენდნენ), და ქიზიყელების თხოვნას კი არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ცდით გაბრაზებულმა ქიზიყელებმა სახელდობრ გურჯაანელებმა გადასწყვიტეს იჯარით მაინც აეღოთ მათ მიერ ნათხოვნი, მამული სრულის იმედით, რომ ამ ხანში ნებართვასაც მიიღებდნენ სრულის დამკვიდრებისა. იჯარის ნება მიიღეს 12 წ. ვადით და კიდეც დაესახლენ ქიაურის აგარაკის იმ ალაგას, რომელსაც ეწოდება მაციმ-ჩაი და მდებარეობს ზაქათალის საზღვრას სიახლოვეს, ლაგოდეხიდან ასე ორი ვერსის სიშორეზედ. სოფელს უწოდეს სახელი „ცოდნა". ეს იყო ამ 5 წლის წინედ; არ გასულა ბევრი ხანი რომ მათ მიეკიდლენ მათზედ უფრო ძლიერ უმიწობით შევიწროვებული იმერლობა და აი ეს იყო საკმარისი, რომ მთავრობას, იმის მაგიერად რომ თავის ნებით დასახლებული იმერლები და აგრეთვე ის ჯუგაანელები თუ ამში იყო ვინმე დამნაშავე, აეყარათ, თუ ამას კანონი და სამართლიანობა მოითხოვდა, 1909 წ. ენკენისთვეს მოახდინეს განკარგულება მთელი ცოდნელების აყრისა, თავზარდაცემულ მცხოვრებთ არ სჯეროდათ ეს უსამართლობა და ეგონათ ეს პატარა მოხელეების გამოგონილიაო, ამიტომ შეეცადნენ რომ მათვის ერთი წელიწადი კიდევ განეგრძოთ იჯარა, რომ ამ ხანში ეს დაუჯერებელი უსამართლობა გადაეცათ ნამესტნიკისათვის და იმედი ჰქონდათ, რომ იგი მაინც აღადგენდა სამართლიანობას. მით უმეტეს რომ გრაფის აზრი ამის შესახებ უკვე ცნობილი იყო. აი რას ბრძანებს იგი თავის უქვეშევრდომილეს წერილში, 10 თებერვალს 1907 წ.: „... ჩვენ საკმაოდ შევეცადეთ რათა საფუძვლიანათ მოგვეწყო ქართველთა მიწაწყალში გერმანელების, ანატოლიელი ბერძნების, ოსმალელ სომხების და... რუსის სექტანტების ბედ-იღბალი, მაგრამ ძირითად მცხოვრებისათვის ჩვენ, მათ საცხოვრებელ ადგილ მამულის მოწყობის მხრივ არაფერი გაგვიკეთებია"... შემდეგ ნამესტნიკი დასძენს რომ საჭიროა სერიოზულად ვიფიქროთ ადგილობრივ მცხოვრებთა მიწად-მფლობელობის გაფართოებაზეო. თუ რაგვა-

---

*) შეშით, როგორც საწვავი, ისე საამშენებლო მასალით და საძოვრით.

*) Матеріалы для изученія экономич. быта государственныхъ крестьянъ закавк. края.

**) Экономич. быть госуд. крестьянъ Сигнах. уѣзда изсл. А. М Аргутинскаго

*) აქვთ ნება საწვავ შეშის და საამშენებლო მასალის გამოტანისა, და აგრეთვე საძოვრისა ზოგი ზომ წინად ხაზნავითაც სარგებლობდა.

ობის დროს საეჭვოა, რომ ახლანდელმა მეფე—დემოკრატმა რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს. ასეთივე დემოკრატი მეფე ჰყავს ბელგიასაც და იქაც შესაძლოა განსაზღვრულს მომენტში წესწყობილება მშვიდობიანად გადატრიალდეს.

წარმოიდგინეთ, ეს დიდებული რესპუბლიკური კავშირი, რომელსაც რასაკვირველია, შვეიცარიაც მიემატება, და მთის აზრით, როგორ შეიცვლება ევროპის პოლიტიკური ფიზიონომია! განა ეს გაცილებით უმჯობესი არ იქნება, ვიდრე დიპლომატიური კომბინაციები სამთა კავშირისა და სამთა შეთანხმებისა?

რესპუბლიკური იდეები სწრაფად ფეხს იკიდებდა და იკიდებს პორტუგალიაში. უკანასკნელ ხანებში მანუელ მეფე საგონებელში ჩავარდა და მოსალოდნელი უბედურება რომ თავიდან აეცდინა, რესპუბლიკელთა გულის მოგებას და მათ თავის მხარეზე გადაყვანას სცდილობდა. მაგრამ დედოფალი—დედა და მეფის მახლობელნი კვლავ მკაცრ პოლიტიკას განაგრძობდნენ და მანუელს ცოლი შერთვას ურჩევდნენ, მაგრამ მანუელი შესაფერ სარძლოს ვერა პოულობდა. ინგლისელმა პრინცესამ პატრიცია კონნაუტისამ, რომელსაც მანუელმა წინადადება მისცა, უარი სთქვა კათოლიკობის მიღებაზე, აგრეთვე იმპერატორის ვილჰელმის არც ერთი ქალი არ სთანხმდებოდა მანუელზე გათხოვებას. ამნაირად მეფემ ვერ შესძლო ძლიერ სახელმწიფოს დამოყვრება.

ამ დროს რესპუბლიკურ მისწრაფებათ კი მით უფრო დიდი წარმატება ეტყობოდათ, რაც უფრო პორტუგალელი რესპუბლიკელნი ესპანელებთან ერთად ქადაგებდნენ პორტუგალიისა და ესპანიის გაერთიანებას იბერიის რესპუბლიკის სახელით და ფართე მუნიციპალურ და პროვინციულ ავტონომიით. რესპუბლიკელნი უფრო შორსაც მიდიოდნენ და ქადაგებდნენ ლათინთა რესპუბლიკების კავშირის დაარსებას. ეს იდეები მცხოვრებთა შორის ფართედ ვრცელდება, ვინაიდგან არწმუნებდნენ რომ რესპუბლიკა ქვეყანას იხსნის სიღატაკისა და ინგლისის კლანჭებისაგან. რესპუბლიკურმა ქადაგებამ განსაკუთრებით გაიტაცა ჯარი, რომელიც მუდამ ესპანიისა და პორტუგალიის ძველ ბრწყინვალების და ძლევა-მოსილების აღდგენაზე ფიქრობდა.

**ვენიდან** იუწყებიან, რომ პორტუგალიის ადგილობრივმა დესპანმა პრეზიდენტ ბრაგასაგან დეპეშა მიიღო, რითაც იგი აცნობებს რესპუბლიკის გამოცხადებას. დესპანმა ეს ცნობა ავსტრიის მთავრობას განუცხადა. ავსტრიის მთავრობა ელის რომ პორტუგალიის პარლამენტმა ოფიციალურად გამოაცხადოს რესპუბლიკა.

ისპანიის რესპუბლიკანელ ესკვერდოს განუცხადებია, რომ პორტუგალიასა და ისპანიაში ერთ დროს, ხუთშაბათს, უნდა მომხდარიყო რევოლიუცია. ეს დღე განზრახ აურჩიეთ, რადგან ფერერის დასჯის წლის თავი იყო. მაგრამ ექიმ ბომბარდის მოკვლამ ხელი შეუშალა საერთო გეგმას და პორტუგალიის რევოლიუცია დააჩქარაო.

**ბერლინიდან** იუწყებიან, რომ პორტუგალიიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, რომ პორტუგალიის მთავრობამ ბევრი სასულიერო პირი დააპატიმრა, რომელთაც რესპუბლიკის გამოცხადებას არ დაემორჩილნენ.

ინგლისის სამხედრო გემებმა ლისაბონში სალამი მისცეს რესპუბლიკის ბაირაღს. ხალხი აღტაცებით მიეგება ამ ამბავს.

დიდებულად დაასაფლავეს პროფესორი ბომბარდი და კონტრ-ადმირალი კანდიდს რეისი, რომელიც ხელმძღვანელობდა აჯანყებულ სამხედრო გემებს და თავი მოიკლა, რადგან რევოლიუციის გამარჯვება ერთ ხანს საეჭვოდ მიაჩნია.

სასულიერო წოდებას მთავრობა ურჩევს თავისის კუნკულა-ანაფორებით ნუ ივლიან ქუჩებში, რომ თავის წინააღმდეგ ხალხის გულისწყრომა არ გააღვიონ.

ვატიკანი აღშფოთებულია რესპუბლიკანურ მთავრობის საქციელით, რომელმაც გააუქმა ყველა კონგრეგაციები, ხოლო მათ წევრებს მოსთხოვა—პორტუგალია დასტოვეთ და მიბრძანდითო.

რომში მყოფი პორტუგალიის დესპანი აცხადებს, რომ თვითმპყრობელობის დამხობა სასულიერო წოდების „გონება-დაბნელების“ ბრალიაო.

ფრანგი და გერმანელი ჟურნალისტები, რომლებიც პორტუგალიაში მოვიდნენ, ირწმუნებიან, რომ ისპანიაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პორტუგალიის რესპუბლიკამ და იქაც დიდი მოძრაობა იწყებაო.

პორტუგალიის დროებითი მთავრობა ნახევარ წელიწადს განაგრძობს ქვეყნის, მართვას და ნიადაგს შეამზადებს რომ მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება, პროვინციალურ საარჩევნო წესით.

---

რად იფიქრეს ადგილობრივ მცხოვრებზედ და რა მზრუნველობა გასწიეს მათეზე, ეს ცხადად სჩანს იმ ორი ბრძანებებიდგან, რომელიც ადგილობრივ მოხელეებს დაურიგდათ ამ სექტემბერში და ხელი მოწერილი აქვს ცნობილ არხიპოვის წარდგენით, სენატორ ვატაცის. აი დაახლოვებით რა სწერია პირველ ამათგანში: ამა 1910 წ. სექტემბერში გაუვიდათ გადა ცოდნის მცხოვრებლებ და ამის შემდგომ იგინი უნდა აყრილ იქმნენ, რადგანაც მათ მოისურვეს სახელმწიფო ადგილების ძალით მითვისება. ამ გაუგებრობას გვიხსნის მეორე ბრძანება, რომელშიაც დაახლოვებით შემდეგია ნათქვამი: „ცოდნელების ნადგილევს დაასახლეთ 5 სასახლეში მეეტლეთ ნამუოთვი რუსი და მათი ნათესავები, რომლებიც ამ ჟამად რუსეთის შიდა გუბერნიებში არიან გაფანტულნი. აქედან მკითხველისთვის უკვე ცხადია ნამდვილი მიზეზი ცოდნელების აყრისა. მხოლოდ, საკვირველია, რად სჭირიათ რაღაცა თავის გასამართლებელ მიზეზების გამოძებნა! ნეტავ ვინ უნდა დაარწმუნონ ამ გულუბრყვილო-ბავშური თავის მართლებით?! არა სჯობია პირდაპირობა?! მით უმეტეს ძალაც და ნებაც მათ ხელშია და წინ დამდგომიც არავინა ჰყავთ.—ეს ხომ უფრო ვაჟკაცური იქნება! მაშინ ნამესტნიკსაც აღარ დასჭირდებოდა ზემოთ მოყვანილი სიტყვების თქმა. ან იქნება მათი ზრუნვა გამოიხატა ამ ორ მოყვანილ ბრძანებაში, რომელიც უნდა პასუხად ჩაითვალოს ცოდნელების მიერ ნამესტნიკისადმი მირთმეულ თხოვნაზე, ამასაც ხომ ზრუნვა სჭირია: ქართველების აყრა და რუსების დასახლება—ეს ხომ შესაფერ მზრუნველობას მოითხოვს! მით უმეტეს, რომ დღევანდელი მართველ წრების პოლიტიკა ხომ მხოლოდ ამგვარი ხასიათისაა; და ნამესტნიკის ზემოდ მოყვანილი სიტყვებიც თქმული 1907 წ. როცა ჰაერში კიდევ სულ სხვა სული ტრიალებდა, ვიდრე დღეს, დღეის შესაფერად შეცვლილია.

ასე თუ ისე, ამ ამბით თავზარ დაცემულნი ცოდნელები ერთ ხანად სასოწარკვეთილებას მიეცნენ, მაგრამ გაიგეს რომ მათკენ—ზაქათალისკენ,—გუბერნატორი გაივლიდა და თითქოს იმედი მიეცათ (ხომ გაგიგონიათ წყალში ჩავარდნილი ხავს ეკიდებოდაო): იმ კვირას გავლილ გუბერნატორს დაუხვდნენ, შესჩივლ-შესტირეს თავისი უბედურობა, მიართვეს თხოვნა საცა ნათქვამი იყო რომ „იმერლები, თუ კი ისინი არიან მიზეზი ჩვენის დაღუპვის თანხმანი არიან წასვლისა“ და თანაც დასძინეს: „რომ თუ ამის შემდგომაც მათი თხოვნა არ იქნება შეწყნარებული, მაშინ მათ თავიანთ სახლებიდან მკვდრებს თუ გაიტანენ თორემ ცოცხლები იქიდან ისინი გამსვლელნი არ არიან, რადგანაც სულ ერთია რომ გავიდნენ, შიმშილით და სიცივით დახოცა მოელით“. მაგრამ სამწუხაროდ ამანაც ვერ გასჭრა და გუბერნატორმა ვერავითარი იმედი ვერ მისცა.

ამგვარად ცოდნელების აყრის საქმე საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, თუ რასაკვირველია შიგ რაიმე შემთხვევა ან სასწაული არ ჩაერია და ამ დღეებში უნდა გადასწყდეს ცოდნელების 60 კომლის ქართველ გლეხის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

**მრთველი.**

---

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ოქტომბერი.

## საზღვარ-გარედ

**ვენა.** უნგრელთა დელეგაციის კომისიაში ერენტალმა შემდეგი სთქვა ანნექსიის შესახებ: ავსტრო-უნგრეთის მთავრობის შეხედულებით ანნექსიის საკითხი უწინარეს ყოვლის უნდა მოწესრიგებულ იყო ჩვენსა და ოსმალეთს შორის. საკითხის მატერიალურ მხარის 1909 წ. 13 თებერვლის ოქმით მოწესრიგების შემდეგ იგი გამორკვეულია ფორმალურადაც. როცა ჩვენ ვითხოვეთ სახელმწიფოთა თანხმობა ბერლინის ტრაქტატის 35 მუხლის შეცვლის შესახებ, ჩვენ იგი მივიღეთ. ბოსნიის და ჰერცოგოვინის სახელმწიფო-უფლებრივ მდგომარეობის გამორკვევით ავსტრო-უნგრეთის განწყობილება მხოლოდ გაუმჯობესდებოდა, ვინაიდგან გამოურკვეველი მდგომარეობა ადვილად იწვევს საქმის გართულებას. მაგალითად გამოვადგება 1866 წ. ამბები და რუსეთ-იაპონიის ომი, გამოწვეული გაურკვეველის განწყობილებით, რაიცა მოხდა რუსეთის მიერ მანჯურიის დაჭერისა გამო. ავსტრო-უნგრეთს სურდა თავი დაეღწია სამხედრო საქმეთა გართულებისაგან, განსაკუთრებით ოსმალეთთან, რაიცა სრულიად მიღწეულიქნა. ოსმალეთის შეთანხმების ყველა მიმდინარე საკითხი მოწესრიგებულია, ან მომზადებული. ჩვენ შეგვიძლიან ოსმალეთის ახალ წესწყობილებას სრულის ობიექტივობით მეგობრული დახმარება აღმოუჩინოთ. მინისტრმა კმაყოფილებით აღნიშნა ის ყურადღება, რომლითაც ამ განწყობილებას კონსტანტინეპოლში ეგებებიან: ჩვენ გულწრფელის კეთილ სურვილით ვუცქერთ ახალ რეჟიმის ტენდენციას ოსმალეთში და მოველით კარგს მართვა-გამგეობასა და გაძლიერებას იმპერიისას შიგნითა და გარედ. კრიტოსის საკითხის შესახებ ერენტალმა სთქვა: ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით მივიღოთ ყოველივე გადაწყვეტილება, რაიცა გამომდინარეობს ოსმალეთის უზენაეს უფლების პრინციპიდგან და სცდილობს სახელმწიფოთა შეთანხმებას პორტასთან. შემდეგ ერენტალმა სიამოვნებით აუწყა, რომ ავსტრო-უნგრეთი განაგრძობს ყველა სახელმწიფოსთან კეთილს განწყობილებას; უკანასკნელმა ამბებმა დაამტკიცა რეალური ღირებულება სამთა კავშირისა; ბეტმანსა და სანჯულიანოსთან შეხვედრამ შეძლება მოგვცა მათთან გულითადად აზრთა გაზიარებისა და დაამტკიცა სრული თანხმობა შეხედულებათა... ავსტრო-უნგრეთი შავის მთის (ჩერნოგორიის) სამეფოდ გამოცხადებას იმავე თანაგრძნობით ეგებება, როგორითაც წინად ბოლგარიის შეეგება.

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატაში 262 დეპუტატია, ამათში კორონასაგან დანიშნული 98, მონელეთა რიცხვის მიხედვით არჩეული 66, პროვინციალურ სათათბირო კომიტეტებისაგან არჩეული 98, მმართველობას უმრავლესობა უზრუნველყოფილი ჰყავს. პალატა სათათბირო დაწესებულებაა. იმისი დადგენილება სავალდებულო არ არის, პალატას აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება და მიაჩვევს ხალხს საპარლამენტო წყობილებას.

მოვიდნენ გერმანიის ახალშენთა მინისტრი დერნბურგი და ამერიკელ სავაჭრო პალატების წარმომადგენლები. ამერიკელებს ყოველგან მხიარულად ჰხვდებიან. განზრახულია აუდიენცია რეგენტთან.

**ავსტრო-უნგრეთი.** ხოლერის გამო მთავრობამ აკრძალა ებრაელთა მოგზაურობა რუსეთიდან სადღესასწაულოდ გალიციაში რაბინებთან.

**პარიზი** ბრინმა სამუნიციპო საბჭოს აუწყა, სურსათის მხრივ ბარონი უზრუნველყოფილიაო. სოციალისტი დეპუტატები მთავრობის უკმაყოფილონი არიან და დაუყოვნებლივ პარლამენტის მოწვევას მოითხოვენ. გაფიცვის მეექვსე ბელადი დაატუსაღეს. ელიან კიდევ სხვათა დატუსაღებას. პარიზ-ლიონ-ხმელთა შუა ზღვის ხაზზე გაფიცვა ვერ განხორციელდა. დასავლეთის გზაზე მოძრაობა მხოლოდ ნაწილზეა შეჩერებული. საერთო შთაბეჭდილებით საყოველთაო გაფიცვა ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს. დაიწყო საელექტრონო სადგურების მოხელეთა გაფიცვა. დიდ ბულვარების ნაწილი სიბნელით არის მოცული. რკინის გზის მოსამსახურეთა ნაციონარულ სინდიკატის გენერალური მდივანი და კიდევ ერთი წინამძღვარი გაფიცულებისა დაატუსაღეს. რუანში რკინის გზის მუშას გაფიცვის ხელმძღვანელობისთვის მიუსაჯეს სამი თვით ციხე.

**ტულონი.** რუსეთის ესკადრა ესპანიაში წავიდა, რამდენსამე დღეს ვიგოში დაჰყოფს.

**პარიზი.** ბრიანმა ითათბირა იუსტიციის მინისტრსა და პროკურორთან გაფიცვის დამნაშავეთა დასასჯელად დაუყოვნებლივ ზომების მიღების შესახებ. შემდეგ მოელაპარაკა რკინის გზების გამგეთ, რომელთაც განაცხადეს, რომ ამოსავლეთისა, ორლეანისა, პარიზ-ლიონ-ხმელთა შუა ზღვის გზებზე მოძრაობა წესიერად სწარმოებს, ჩრდილოეთის გზაზე წესიერ მოძრაობის დარღვევის შემთხვევები მცირდება, შემოღებულია ახალი მატარებელნი. გამგეთ თანხმობა განაცხადეს, რომ ბრიანის შუამდგომლობით მოსამსახურეებთან მოლაპარაკება გამართონ. გამოიცა ბრძანება პატოს დაპატიმრების შესახებ. შუადღის შემდეგ გასწყვიტეს დეპეშათა მავთულები, რაიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციასთან აერთებდა. პარიზის მეციხოვნე ჯარი გაძლიერებულია ცხენოსანთა და ქვეითა ჯარით. რკინის გზა პარიზიდან ბრიუსელამდის აღდგენილია. მდგომარეობა თითქოს უმჯობესდება.

**ბერლინი.** გაზეთები ერენტალის მოიხსენებს თანაგრძნობით, მაგრამ თავ-შეკავებულად ეპყრობიან. „პოსტი“ გაკვირვებულია, რატომ გერმანია ცალკე არ მოიხსენიაო. სხვა გაზეთები უადგილოდ სცნობენ 1866 წლის იმის მოგონებას.

**სტამბოლი.** საფრანგეთის ჯგუფის მიერ დადებულ სესხის ხელ-შეკრულობის ვადა განაგრძეს 7 ოქტომბრამდის. ოსმალეთი იღებს საფრანგეთის მთავრობის პირობით. საფრანგეთის ფინანსისტი უხელმძღვანელებს ოსმალეთის საკონტროლო პალატას.

**ჰამბურგი.** მუშებსა და სამუშაოს მიმცემთა შორის მოლაპარაკება უმთავრეს მუხლებში თანხმობით გათავდა.

**სტამბოლი.** სალონიკის გზაზე თუმანოვის მახლობლად ყუმბარამ იფეთქა. დაიმსხვრა 4 ვაგონი გამვლელის საქონლის მატარებლისა, დაიჭრა მექვაბე, ეს ყუმბარა მიმართული იყო ალბაანის ჯარის წინამძღოლის თურგუთ-ფაშის წინააღმდეგ, რომელიც გადარჩა.

**ჰავანნა.** ქარიშხალმა დაანგრია ქალაქები ვოზილდა და სანტა-კლარია. ბევრი კაცი დაიღუპა.

**სენ-ნაზერი.** ნუარ მუნტიეს კუნძულთან ჩაიძირა გემი „ვატტშეფორი“. დაიღუპა 23 კაცი.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში მილერანმა განაცხადა, რომ სამხედრო სამსახურში გაწვეული რკინის გზის მოსამსახურენი უნდა დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ, თორემ დაპატიმრებულ იქმნებიანო.

**ვენა.** იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უპასუხა ორივე დელეგაციის თავმჯდომარეთა მისალოც სიტყვებზედ და მადლობა გადაუხადა. განსაკუთრებული კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაზე უზენაეს უფლებათა გასავრცელებლად დაწყებულმა მოქმედებამ სრულის წარმატებით ჩაიარა.

**ათინა.** მინისტრ-პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ მეფემ გადასწყვიტა გაიცნოს პარტიათა ბელადების აზრი კაბინეტის გადადგომის შესახებ.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტუნგის“ ცნობით საეჭვოა, რომ ვენიზელოსმა იკისროს კაბინეტის შედგენა.

**პარიზი.** კალატოზებმა და მიწის ქვეშა გზის მუშათა სინდიკატმა დაადგინა გაფიცულებს შეუერთდნენ.

**ლონდონი.** პარიზ—ლიონი—ხმელთაშუა ზღვის რკინის გზის სინდიკატის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გაფიცვას შეუერთდეს.

**თეირანი.** კასპიის ზღვაზე კარანტინები მოსპეს, დაწესებულია მხოლოდ მეთვალყურეობა კავკასიისა იმიერ კასპის საზღვრებზე.

## რუსეთი

**მიშკინი.** საერობო კრებამ გლეხთა განთავისუფლების 50 წლის აღსანიშნავად დაადგინა პირველ ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაარსოს.

**პეტერბურგი.** სათათბიროში შეტანილი ხარჯთ-აღრიცხვა გარაუდობს ჩვეულებრივს შემოსავალს 2.669 მილიონს, ხარჯს—2,545, საგანგებო შემოსავალს 12 მილიონს, საგანგებო ხარჯს: ომის ლიკვიდაციოდ—2 მილიონს, სამხედრო უწყების სამეურნეო ოპერაციებისათვის—48 მილიონს, რკინის გზათა გასაყვანად—95 მილიონს, რკინის გზების საზოგადოებათათვის მისაცემად—1 მილიონს, ერთად 147 მილიონს, რაიცა დაიფარება ჩვეულებრივ შემოსავალთა ზედმეტით 123 მილ., საგანგებო შემოსავლით—12 მილ. და ხაზინის თავისუფალ თანხით—11 მილ.

**ოდესა.** გერმანელთა ახალშენებმა გადიხადეს რუსეთის სამხრეთად მათის დაბინავების ასის წლის დღესასწაული.

**პეტერბურგი.** ბალტიის ზღვაზე ღამით საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ბევრი უბედურება დატრიალდა, მრავალი ნავი და ხიდი უნდა იყოს დაღუპული.

**ვინდავა.** ქარიშხალმა ტყეში ბევრი ხეები დალეწა. ზღვაში გასული ხეტყით დატვირთული ინგლისის გემი „დირშარკი“ უკან დაბრუნდა.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **ოთხის კაცის ჩამოღრჩობა.** გუშინ, 2 ოქტომბერს, გათენებისას ტფილისში ჩამოაღრჩვეს ოთხი კაცი: 1) ხორენ აკულოვი, 2) არუთინ მხოიანცი, 3) გიორგი ბასილაშვილი და 4) სანდრო არაბული, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოსაგან. აკულოვსა და მხოიანცს ბრალდებოდათ ინჟენერ კირხნერის მოკვლა, ბასილაშვილს ბრალდებოდა კონსტანტინე ცაშიძის მოკვლა, ბესარიონ აბაშიძის მოკვლის განზრახვა და ვაჭრის კამრენის გაძარცვა. არაბულს ბრალდებოდა მე-3 კავკასიის მსროლელთა ბატალიონის ჯარის კაცის გრიგოლ მაცეროვის მოკვლა.

✦ **წ.-კითხვის საზოგადოებაში.** 30 სექტემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდა. გამგეობამ დაადგინა კვლავ განაგრძოს თვიურ ჟურნალის „წერა-კითხვის საზოგადოების მოამბის“ გამოცემა და რედაქტორად დასამტკიცებლად მთავრობას წარუდგინოს გამგეობის ახლანდელი მდივანი ს. კაკაბაძე. ამის შემდეგ გამგეობამ რამდენიმე წვრილმანი საქმეები გაარჩია.

✦ **საფინანსო კომისიაში.** ტფ. ქალაქის გამგეობამ, როგორც ვწერდით, უკვე დაასრულა ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის შედგენა. დღეს [illegible] გამგეობის სადგომში კრება ექნება ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას. კომისია საბოლოოდ განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტს და შემოსავალს ხარჯთან შეაფარდებს.

✦ **ქართული კლუბი.** დღეს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში ქართულ კლუბის წევრთა კრება მოჰხდება. კრებაზე მიიღებენ კლუბის ახალ წევრებს და კლუბის მამასახლისებს აირჩევენ.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 30 სექტემბრის დილის 9 საათიდან 1 ოქტომბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 7 ავადმყოფი, მორჩა—1, გარდაიცვალა—2, დარჩა—4.

1 ოქტომბრის დილის 9 საათიდან 2 ოქტომბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—4 ავადმყოფი, არის ოთხი.

✦ **ცეცხლის მსხვერპლი.** 1 ოქტომბერს ღამით თელოლსიევის ქუჩაზე გამოურკვეველ მიზეზთა გამო ცეცხლი გაუჩნდა პრასკოვია ვასილიევის სახლის სახურავს, საიდანაც ცეცხლი გადავიდა მეზობელ ნიკოლოზ დიმიტრის ძის გვარამაძის სახლის სახურავზე. ცეცხლი ჩქარა ერთს ოთახსაც გაუჩნდა, სადაც იდგა ელენა თევდორეს ასული მუკოვიჩისა. ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ცეცხლი მქრობელმა რაზმმა დიდის გაჭირვებით ძლივს გამოიყვანა ოთახიდან იქ მძინარე ორი ბავშვი. მესამე ბავშვი (6 წლისა) ოთახში დარჩა და სიცხისა და ბოლისაგან გარდაიცვალა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ, 4 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდება. საბჭოს დარჩენილ საკითხების გარდა რამდენიმე ახალიც აქვს განსახილველი.

✦ **ხოლერა ტფილისში.** პოლიციის ცნობით, 30 სექტემბერს ხოლერით ავად არავინ გამხდარა. 1 ოქტომბერს ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს ფერშალი ვასილ თევდორეს ძე ლისკინი.

✦ **ლექცია.** დღეს სახალხო სახლში ა. მ. როზოვი წაიკითხავს რუსულად ლექციას ამ თემაზე. „ლევ ტოლსტოი კავკასიაში“. ლექციის შემდეგ გაიმართება უფასო კონცერტი.

✦ **თუთუნის მოწევისათვის.** ტფილისის გუბერნატორმა 25 მანეთით დააჯარიმა ივანე ტოხატელოვი ტრამვაის ვაგონში თუთუნის მოწევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ორის კვირით დააპატიმრებენ.

✦ **გადასახლებულნი.** 30 სექტემბერს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო ალექსანდრე იაგორას ძე კიკაშვილი და კონსტანტინე ივანეს ძე ეფრემოვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ **ნამესტნიკის სამოსვლა.** კავკასიის ნამესტნიკი ტფილისში ჩამოვა ხვალ, 4 ოქტომბერს, საღამოს 11 საათსა და 58 წ.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი.** მოკლე ხანში მოჰხდება ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი, რომლის სამზადისს ხმოსნები უკვე შეუდგნენ. კანდიდატებად ამ თანამდებობაზე შიგა და შიგ ასახელებენ: ნაფიც ვექილს ი. ს. ჯაბადარს, ბ-ნს ჩაჩიბაიას, გ. დიასამიძეს, ა. ი. სარაჯიშვილს და მ. ა. ჯაბარს.

✦ **ფრენა.** ტფილისში ჩამოსვლა ასაფრენად, სხვათა შორის, განუზრახავს რუსის ცნობილ ფილავანს ზაიკინს, რომელმაც ქუდაობას თავი გაანება და ავიაცია შეისწავლა. ზაიკინი ტფილისში ამ დღეებში ჩამოვა.

◆ **საკრედიტო ამხანაგობანი.** მთავრობამ ნება დართო საკრედიტო ამხანაგობათა გახსნისა სოფელს ხაშმსა, პატარძეულსა, მარტყოფსა, ბაკურიანსა, ყვიშისა და [illegible].

◆ **უპასპორტონი.** [illegible] შეიპყრეს: 30 სექტემბერს 94 უპასპორტო, ხოლო 1 ოქტომბერს—24.

## ადგილობრივი სომხური პრესა

ქართველ მკითხველისათვის უსათუოდ საყურადღებო უნდა იყოს, ის საკითხი, თუ რას წარმოადგენს დღეს ადგილობრივი სომხური პრესა, რა არის მისი არსების მიზანი, მისი **raison d'etre**-ი, და მისი მისწრაფებანი.

ტფილისში გამოდის რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი, ჩამოვთვალოთ ეგენი და შეძლებისა დაგვარად დავახასიათოთ კიდეც.

უძველესი სომხური გაზეთია „მშაკი“ (მუშა), რომელიც უკვე 38 წელიწადია, რაც გამოდის.

მისი მიმართულება ლიბერალურ-დემოკრატიულია და უახლოვდება რუსეთის კადეტების პროგრამას, თუმცა ამ გაზეთში თანამშრომლობენ უფრო მემარცხენე აზროვნების მწერლებიც. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ „მშაკი“ ფრიად გავრცელებული და საინტერესო გაზეთია. გარდა ამისა, ტფილისში ჯერჯერობით არ არსებობს „მშაკ“-ზე უფრო მემარცხენე სომხური ორგანო. „მშაკის“ რედაქცია მეტის-მეტად თავაზიანია და დიდის სიამოვნებით უთმობს თავის ფურცლებს სომხის უკიდურესს მემარცხენეთა მწერლებს, თუმცა შეიძლება მათ მიმართულებას არ ეთანხმებოდეს. ამ მხრივ „მშაკი“ სომხურ ლიტერატურაში საგულისხმოა.

„მშაკის“ დამაარსებელია განსვენებული ნიჭიერი პუბლიცისტი გრიგორ არწრუნი, რომლის მოძღვრების სკოლიდან დაიბადა სომხის ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი და რომელსაც წარსულსა თუ აწმყოში დიდი გავლენა ჰქონია და აქვს სომხის საზოგადოებრივ აზრზე. იყო დრო, როდესაც „მშაკ“-ში თანამშრომლობდნენ არა მარტო ეგრედ წოდებული „მშაკისტები“, არამედ სხვადა სხვა მიმართულებისა და აზროვნების პირებიც, და ეს ხანა, რა თქმა უნდა, მის ოქროს ხანად ჩაითვლება.

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, როდესაც მოხდა საზოგადოებრივი და კლასიური დიფერენციაცია (დანაწილება) „მშაკის“ რედაქციასაც ბევრი ჩამოშორდა. ამ გაზეთის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა უფრო მარჯვნივ გაიწია. მეორემ კი მარცხნივ და ამ გვარად შექმნა სხვა და სხვა აზრისა და კლასსიურ ინტერესების გამომხატველი დამცველი სომხური ორგანოებიც.

მაგრამ დღე მოკლე გამოდგა პრესის თავისუფლება და ახლა, როდესაც პრესის მდგომარეობა სრულიად გაუარესდა, ბევრი ჟურნალ გაზეთობაც დაიხურა, თავისუფალი მოაზრე სომხის მწერლებმა ისევ „მშაკის“ რედაქციაში იპოვნეს თავშესაფარი. და გულ-უხვი რედაქციაც ძველებურის თავაზიანობით ეპყრობოდა მწერლებს.

ამ უკანასკნელ 16 წლის განმავლობაში „მშაკის“ რედაქტორ-ხელმძღვანელი არის ცნობილი აგრონომი პუბლიცისტი საზოგადო მოღვაწე ალ. ქალანთარი, მას ჰყავს თანამშრომელთა მრავალი რიცხვი, მაგრამ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს.

„მშაკის“ ერთი გამომცემელთაგანი არის ნიჭიერი და დამსახურებული თანამშრომელი ცნობილი მოღვაწე (სომხ. ჟურ. „[illegible]“ რედაქტორი) და პუბლიცისტი ჰამ. არაქელიანი, რომელსაც კარგად იცნობენ არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთსა და საზღვარ-გარეთაც. სხვათა შორის ჰ. არაქელიანი იყო ერთი ერთი სომეხი მონაწილე ამ ზაფხულს კოპენჰაგენში მოხდარ მსოფლიო მშვიდობიანობის კონგრესისა. ჰ. არაქელიანი ცნობილია აგრეთვე თავისი ლიტერატურულ-ბელეტრისტულ ნაწარმოებითაც. რამდენიმე მისი თხზულება გადათარგმნილია რუსულის ენაზედ.

მეორე უძველესი თანამშრომელია [illegible], რომელიც ამ გაზეთის ერთი გამომცემელთაგანია და რომელიც დაუღალავად მუშაობს თითქმის „მშაკის“ დაარსების დღიდან. [illegible] გრ. [illegible] მუშაკთაგანია და მის სიცოცხლის დროს ეს იყო მისი მარჯვენა ხელი.

გარდა ამათა „მშაკს“ თანამშრომლობენ შემდეგნიც. ინგლისელი მეცნიერი ჯებს გრონფილდი, რომელიც სომხურად სწერს ბერლინიდან; ცნობილი სომეხი მგოსანი ალ. წატურიანი, დონის ნახიჩევნელი ცნობილი მოღვაწე ნაფიცი ვექილი გრიგ. ჩალხუშიანი, მასწავლებელი-კრიტიკოსი ა. ნაზარეთიანი, მასწავლებელი ჰავ. გენჯიანი, ახალგაზდა პუბლიცისტი ჰარ. გასპარიანი, მრავალი პროვინციალური კორესპონდენტები და სხვა.

ეს გაზეთი გადის 3500—4000 ცალი და უმეტესად პროვინციაში ვრცელდება. 1912 წლის იანვარში შესრულდება მის არსებობის 40 წელიწადი, ამ წელს აზრადა აქვთ გადაიხადონ დიდებული იუბილე.

* * *

„მშაკის“ გარდა, ტფილისში გამოდის აგრეთვე ყოველ დღიური მეორე გაზეთი „ჰორიზონი“ (გარიზონტი), რომელიც ვითომ და ცდილობს ლიბერალობა გამოიჩინოს და უფრო მემარცხენე მიმართულებას ემსახუროს, მაგრამ კუდი გარედ რჩება. მასში მიანაწილეობას ღებულობენ უმთავრესად ის პირები, რომელნიც ასე თუ ისე, განდევნილი არიან „მშაკიდან“, რადგანაც იგინი ერთ დროს ემხრობოდნენ იმ ორგანიზაციას, რომლის დემოგოგიურ და არა რევოლიუციონურ მოქმედებათა წინაალმდეგ გამოილაშქრა „მშაკმა“. მუდმივი თანამშრომელთა შორის ცნობილია სომხის მგოსანი ოვ. თუმანიანი. დანარჩენები ჩვეულებრივი უნიჭო ჟურნალისტები არიან. საერთოდ ეს გაზეთი მკითხველზე საბრალო შთაბეჭდილებას ახდენს. მის მატერიალურ მდგომარეობის და მკითხველთა რიცხვის დასახასიათებლად საკმაოა ვთქვათ, რომ „ჰორიზონს“ დეპეშებიც კი არა აქვს, ესე იგი უფულობის გამო ვერ ყიდულობს, ასე, რომ იგი დეპეშებს ორის დღის შემდეგ ჰბეჭდავს გაზეთში. ეს გაზეთი დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს.

მისი რედაქცია სცდილობს თავისი თავი მემარცხენედ აჩვენოს მკითხველებს, მაგრამ არა თუ „მშაკზე“ ლიბერალურ აზრებს ვერ ქადაგობს, არამედ მრავალ კითხვებში ზემოხსენებულ გაზეთზე კონსერვატიულ აზრებს აცხადებს ხოლმე. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ყველა ესენი „მშაკს“ ჩამოშორდნენ, მხოლოდ და მხოლოდ კერძო ნიადაგზე, შინ-ჩემობის კითხვების გამო და ბევრი მათგანიც გაძევებულ იქმნენ იმისათვის, რომ თავიანთ კონსერვატორულ აზროვნების გამოისობით ალაგი არ უნდა ჰქონოდათ გაზეთ „მშაკში“.

იყო დრო, როდესაც მის წინად არსებული გაზეთები ბლომად იყიდებოდა, მაგრამ ახლა კი ამ გაზეთის მკითხველთა რიცხვი 1000—1500 არ აღემატება.

სომხეთა უმრავლესობისათვის გაუგებარია ამ გვარ მდგომარეობაში, რა არის მის არსებობის მიზანი, ან თუ რას ფიქრობენ მისი მმართველები.

**Artemius.**

## წერილი ფოთიდან

[illegible] სენსიული, გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ფოთის არჩევნები და 28 სექტემბერს კიდეც მოხდა განახლებული საბჭოს საგანგებო სხდომა. ექვსი საათიდან იწყეს ხმოსნებმა თავის მოყრა. გამოცხადდა 25—30 ხმოსანი. [illegible] ჩვეულებრივი [illegible] და მასთან დღიურ წესრიგიდან ჩანდა, რომ სხდომა იქნებოდა უკამათო.

შვიდ საათზე ბ. ნიკოლაძემ გახსნა სხდომა. განსახილველ საგნების პირველ რიგში იყო ფიცის მიღება ხმოსნების მიერ, რომლის სასრულეში მოყვანის შემდეგ, ქალაქის მოურავმა მოიხსენა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან ფოთის ნავთ-სადგურიდან გატანილ საქონელზე დამტკიცებულ ბაჟის შესახებ. ბ. ნიკოლაძემ მიმართა ხმოსნებს: მე დიდ ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ მომეცა საშუალება ვაუწყო ახალ საბჭოს ჩვენთვის ეს ფრიად სასიხარულო ამბავი. გვღირსა ის, რასაც აგერ ოთხი წელია ველოდებოდით. ამის შემდეგ ქალაქის მოურავისავე წინადადებით ერთხმად დადგენილ იქმნა ულრმესი მადლობა გამოეცხადოს კავკასიის ნამესტნიკს, მის თანაშემწეს და აგრეთვე ქუთაისის გუბერნატორს ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევისათვის.

ამის შემდეგ ქალაქის დებულების 120 მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებისთვის, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ. ჭოჭუა.

შემდეგი რიგი იყო არჩევა ქალაქის მოურავის და გამგეობის წევრისა, ნაცვლად ვადა შესრულებულ ბ. ბ. ნიკოლაძისა და ყრუაშვილისა. ბ. ნიკოლაძემ მიმართა საბჭოს დაესახელებინათ თავიანთი კანდიდატები. ამ საგანზე ხომ ორი აზრი შეუძლებელი იყო. ხმოსნები ერთიმეორეს ასწრებდნენ კანდიდატების დასახელებას, რათა დაემსახურებიათ პატივისცემა... რის შემდეგიც ის იყო, რომ ერთხმად არჩეულ იქმნენ ისევ ბ. ნიკოლაძე და ბ. ყრუაშვილი.

შემდეგ ასარჩევი იყო საბჭოს კომისიები, ეს არჩევნები გადაიდო მორიგ სხდომისათვის.

ქუთაისის გუბერნატორის წინადადების გამო, რომელიც შეეხებოდა ხაზინის „ნედოიმკებს“ ერთ ხმად დაადგინეს:—გასწორდეს ეს ნედოიმკები ფოთიდან გატანილ საქონელზე დადებულ ბაჟის შემოსავალიდან.

გამგეობის მოხსენება შავიზღვის საამშენებლო საზოგადოების ვალის გადახდაზე ტაძრის აშენებისათვის, რომელიც უდრის 80,805 მ. და 41 კაპ., ბ. ნიკოლაძის წინადადებისამებრ ასე გადაწყდა: ერთ ხმად დადგენილ იქმნა, რომ ალიძრას საკითხი სადაც ჯერ არს და უმაღლესად დამტკიცებული ნებართვით კვლავ გამართული იქმნეს ხელის მოწერა რუსეთში. შემოწირული ფულით გადახდილ იქმნეს ვალი კანონიერი ექვსი პროცენტით და მასთან დასრულდეს ტაძრის შენობა რომელიც შიგნითა მოწყობილობით უნდა წარმოადგენდეს „საქართველოს ეკლესიათა მუზეუმს.

შემდეგი განხილულ იქმნა მოხსენება გამგეობისა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკიდან მდინარე სუფსას და მალთაყვას შუა (დეს. 70—80 მ.) მიწების შეძენაზედ საბჭომ დაამტკიცა ეს საკითხიც და ის კი არ იკითხა, თუ რა სარგებლობას მოუტანს ამით ქალაქს; ვისაც უნახავს ის ადგილი, დარწმუნდება, რომ ამით ბ. ნიკოლაძე ბანკს მეტს სამსახურს უწევს, ვიდრე ქალაქს. უკანასკნელად კი ერთხმად დადგენილ იქმნა გამგეობის მოხსენებისამებრ გამოცდა რუსეთის გემებზე შავი ქვის (მარგანეცის) მტვირთავ ელევატორისა, რის შემდეგაც სხდომა დაიხურა.

როგორც მკითხველი დაინახავს, ყველა საკითხი თითქმის ერთ ხმად იქნა გადაწყვეტილი, ას როგორც [illegible] ხდებოდა ხოლმე წინად. მაშასადამე ახალი საბჭო ახალს არას გვაძლევს.

**ჭოჭანა.**

## თეატრი და ხელოვნება

**დღევანდელი წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა გერმანელ დრამატურგის ჰაუპტმანისა—„მზის ამოსვლამდის“, თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა. პიესას რეჟისორობს ვ. შალიკაშვილი, უმთავრესს როლებს კი ასრულებენ ქ-ნი დავითაშვილი და ბ.ბ. გუნია, ხარდალიშვილი, მდივანი, არადელი და მგალობლიშვილი.

**მომავალი კვირის რეპერტუარი.** მომავალ კვირეში წარმოსადგენად განზრახულია პირველად ორი ახალი პიესა: ერთი ორიგინალური ნ. შიუკაშვილისა—„გამხმარი ფოთოლი“ (წარმოდგენილი იქნება ხუთშაბათს) მეორეც ნათარგმნი ი. გორდინის დრამა „სატანა“ (წარმოდგენილი იქნება კვირას 10 ოქტომბერს). ორივე პიესას რეჟისორობს და ორივეში მონაწილეობას იღებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

პირველ ოქტომბერს წარმოდგენილ იქმნა ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა: „სიმახინჯე“. ამისთანა მწყობრი წარმოდგენა ქართულ სცენას იშვიათად უნახავს. მონაწილეობას ღებულობდნენ ახალგაზდა მსახიობნი და ერთი-ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. ბ. ხარდალიშვილისა, ბ-დუ მდივნისა, გვარამისა და სხვათა, ხოლო ქ-ნ ლოლიუასი, შოთაძის. ვიქტორელისა და სხვათა მწყობრმა დაკვირვებულმა და გულიანმა თამაშმა ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. რეჟისორის შრომა და გარჯა დიდად პატივსადები იყო. დაწვრილებით რეცენზიას პიესისა და მოთამაშეთა შესახებ მერე დავბეჭდავთ.

30 ოქტომბერს სახალხო სახლში წარმოადგინეს ცნობილი პიესა „[illegible]“. თეატრი ხალხით იყო სავსე. ყველას აინტერესებდა ქ. ჩირგაძის სცენაზე გამოსვლა. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, ქ. ჩირგაძისა სწორედ პოვნაა ქართულის სცენისთვის.

უადგილობის გამო, სამწუხაროდ ვრცელ რეცენზიას ვერ ვათავსებთ. შეიძლება შემდეგში დავუბრუნდეთ ამ წარმოდგენის დაწვრილებით დაფასებას.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ჩვენ სახელოვანსა და დაუღალავ პედაგოგს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულ ქვემო-ხვითის სამრევლო სასწავლებელს სახელმძღვანელო წიგნები: 45 ცალი პირველი და მეორე ნაწილი „დედა-ენისა“, 15 ცალი „Руское слово“.

დიდ მადლობას ვუძღვნი კნეინა ანნა დიასამიძისას, რომელმაც ბატონ იაკობისგან მიიღო ზემოხსენებული წიგნები და მოგვაწოდა სოფელში.

აგრეთვე დიდ მადლობას შევწირავ კნეინა თინათინ დიასამიძისას, რომელიც შემწეობას აძლევს ჩემდამი რწმუნებულ სკოლას სხვა და სხვა სასწავლო ნივთებით და საბავშო საკითხავი წიგნებით.

მადლობას ვწირავ აგრეთვე გორის იმ საზოგადოებასაც, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ სკოლას, მარიამ დემურიას სახსოვრად წრეულს გამოუწერა „ნაკადული“ რომლის წაკითხვამაც ჩემს მოწაფეებს ბევრჯელ აგრძნობინა სიამოვნება და აღუძრა სურვილი წიგნისადმი.

მასწავლებელი ნატალია

**უნაფქოვისა.**

## განცხადებანი

ექიმი ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—193

ახალი საქონელი მუდამ იშოვება
ა. ქ. გუქასოვის
● მაღაზიაში ●
გოლოვინ. პრ., სახაზინო თეატ. პირდაპირ. მრავალი მშვენიერი და ხუფთა ნივთები, რომელიც მოდის ყოველ კვირა რუსეთის და საზღვარ-გარეთის ცნობილ ფირმებისაგან. გვაქვს დიდ-ძალი საგალანტერიო საქონელი, ქალისა და კაცისთვის სათეთრეული, ახალ-მოდისა, აგრეთვე ფოლადის ნივთები, მაგალითად: სამართებლები თავის მოწყობილობით, თავის გასაკრეჭი მანქანები და კალმის დანები. საქონელი პირდაპირ ქარხნიდან მოდის და კარგის ღირსებისაა.
ფასები ზომიერია
(10—103—2)

აგენტი
ი. გ. ხალათიანი
რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებას
ვკისრულობ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, ძლიერ შეღავათიანის პირობებით, **ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.** ვკისრულობ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.
დროებითი ადრესი: გაზ. „Нов. рѣчь“-ის კანტორა, ტელეფ. № 20.
ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ. ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

თევზის მაღაზია
ს. ა. გუკასოვისა
პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ
ტელეფონი № 395
ტელეფონი № 395
განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი **ზუთხი და თართი,** ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.
**ფასები სინიდისიერია.** პატივისცემით **ს. ა. გუკასოვი.** (40—33—11)



ყველა ჩვენ აპპარატს აქვს ფაბრიკს
საკუთარი ნიშნები
„მღერავი ანგელოზი“
აქც. საზოგადოება
გრამაფონი
ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.
მოგვეპოვება მომღერალთა შემდეგი ფირფიტები
ადგილობრივი:
კავსაძე, კარგარეთელი, [illegible]ტომაშვილი (ქართველი), გ. [illegible]ბაგრატ[illegible] ნიკოლი, კომიტას ვარდა პ. კავსაძე, მაჯიდ-ბეგბუტოვი, ჯაბარი, კორიაგ დიევ მაშადი მამედ-ფარ[illegible] ზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა.
რუსული:
ფ. ი. შალიაპინი.
ლ. ვ. სობინოვი.
დ. ა. სმირნოვი.
ვ. პ. დამაევი.
ნ. ვ. გრიზუნოვი.
ლ. ვ. ნეჟდანოვი.
მ. ა. მიხაილოვი.
ნ. ს. ერმოლენკო-იუჟინისა.
ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი.
ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა.
● ამას გარდა მივიღეთ დიდძალი ფირფიტები „ქუთაისის მოტივები“. ●
მოითხოვეთ უფასოდ ამ ფირფიტების კატალოგი.
ჩვენი ქართულის სასიმღერო ფირფიტების შეძენა შეიძლება აგრეთვე ქუთაისში ა. რ. თაბაგარი სამუსიკო მაღაზიაში.
ფირფიტები 65 კ. და უფრო ძვირი
აპპარატები 35 მანეთიდან და უფრო ძვირი.
АКЦ. ОБЩ. „ГРАММОФОНЪ“
Тифлисъ, Головинскій просп. 9, телеф. № 69.
კატალოგები მოითხოვეთ უფასოდ. (0—9)



სტამბა „[illegible]“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ირადიონ [illegible]